# ფიზკულტურული სალამი საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 46 (4556)

1972 წ. 5 მარტი, კვირა. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




## ჯილდოები სპორტსმენებს

ზამთრის XI ოლიმპიურ თამაშებში მაღალი სპორტული მაჩვენებლებისთვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ:

ლენინის ორდენით — სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. ვედენინი, გ. კულაკოვა;

შრომის წითელი დროშის ორდენით — სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. დავიდოვი, ვ. მამატოვი, ა. რაგულინი, ი. როდნინა, ა. ულანოვი, ა. ფირსოვი; სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ვ. კამენსკი, პ. კოლჩინი, ა. ტარასოვი, ა. ჩერნიშოვი;

„საპატიო ნიშნის" ორდენით — სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. ვიკულოვი, ვ. კუზკინი, ბ. მიხაილოვი, ლ. მუხაჩოვა, ა. ოლიუნინა, ი. რომიშევსკი, რ. საფინი, ფ. სიმაშოვი, ვ. ხარლამოვი, ს. ჩეტვერუხინი, ა. იაკუშევი; სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ს. ეუკი, ვ. ივანოვი, ვ. იერუსალიმსკი, ა. პრივალოვი; სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი სათხილამურო სპორტში ვ. ბარანოვი.

სპორტსმენთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა მედლებით „შრომითი მამაცობისთვის" და „შრომითი წარჩინებისთვის".



გ. იაშვილის ნახატი.

## ნათხილამურევზეც და ყინულზეც — ოქრო

ლეიკ პლესიდი, 3 მარტი. საბჭოთა სპორტსმენები დიდი წარმატებით განაგრძობენ ასპარეზობას აქ მიმდინარე „თეთრ უნივერსიადაში": ნათხილამურევზეც და ყინულზეც გამართული მორიგი შეჯიბრებების შემდეგ მათ თავიანთ ოქროს ფონდს ახალი ნადავლი შესძინეს.

4×10 კილომეტრზე ესტაფეტაში საბჭოთა გუნდს (ნ. ემელინი, ს. საველიევი, ი. პრონინი და ოლიმპიური ჩემპიონი ფ. სიმაშოვი) ბადალი არ ჰყავდა — 2:32.54. სსრ კავშირის მოთხილამურეთა ფინიშის შემდეგ თითქმის მთელი 7 წუთი გავიდა, როცა მათი უახლოესი მდევრები — იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები გამოჩნდნენ. იაპონელთა დრო 2:39.15. ბრინჯაო ამერიკელებს ხვდათ — 2:39:30.

ასევე შესანიშნავად იასპარეზეს საბჭოთა მოთხილამურე ქალებმა 3×5 კილომეტრზე ესტაფეტაში. გამარჯვება საბჭოთა გუნდს მოუტანა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. მუხაჩოვამ, რომელიც ბოლო ეტაპზე გამოვიდა. მან ესტაფეტა მეორემ მიიღო, მაგრამ პოლონელ მეტოქეს ჯერ დაეწია, მერე კი გაუსწრო კიდეც. საბჭოთა ტრიოს დრო 1:01.41. ვერცხლის მედლები პოლონელებს ერგოთ, ბრინჯაოსი — ამერიკელებს.

ვადამდე იზეიმეს წარმატება საბჭოთა ჰოკეისტებმა, რომლებმაც მორიგ მატჩში ანგარიშით 8:3 დაამარცხეს აშშ-ს ნაკრები. ახლა საბჭოთა გუნდს 4 მოგება აქვს და დარჩენილი მატჩების შედეგების მიუხედავად, ოქროს მედლებს სსრ კავშირის სტუდენტი ჰოკეისტები მიიღებენ.




◆ ლეიკ პლესიდი, 4 მარტი. თითქმის შუაღამით გამოვლინდა 500 მეტრზე ციგურებით სწრაფრბენაში აქ მიმდინარე „თეთრი უნივერსიადის" ჩემპიონი ქალთა შორის. ოქრო ხვდა საბჭოთა სტუდენტ ტ. ავერინას — 48,5. ბრინჯაოს მედალსაც სსრ კავშირის წარმომადგენელი დაეპატრონა: ესაა ნ. სოლდატოვა — 50,4. შეჯიბრების ასე გვიან ჩატარება ამინდის ცვალებადობამ გამოიწვია. ჯერ ისე დათბა, რომ ყინულის ბილიკი პირდაპირ ფაფას დაემსგავსა. მერე მოთოვა და მხოლოდ ჰარასკევს საღამოს აცივდა. ახლა კი შესაძლებელი გახდა ასპარეზობა. სპრინტერმა ვაჟებმა შეჯიბრების ორგანიზატორები „გააკოტრეს": ოქრო ორმა სპორტსმენმა მიიღო. ესენი არიან ნორვეგიელი ო. ივერსონი და პოლანდიელი ი. ვალენტიინი, რომლებმაც 500-მეტრიანი მანძილი ერთნაირი შედეგით (42,8) დაფარეს. სსრ კავშირის ჰოკეისტებთან მატჩში კანადელები საფინალო სასტვენამდე 6 წამით ადრე გადაურჩნენ წაგებას — 4:4. ხვავრიელმა თოვლმა სამთომოთხილამურეებსაც „აურია" გეგმები: ჩატარდა გიგანტური სლალომის მხოლოდ ერთი ცდა. საუკეთესო დრო პოლონელმა ა. ბაჰლედამ აჩვენა — 1.36,90. მეორე ცდას 24 საათის შემდეგ გამართავენ.

## რეკორდები

ინცელი (გფრ), 3 მარტი. წლევანდელი საციგურაო სპორტის ტრიუმფატორმა, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა არდ შხენკმა (ჰოლანდია) გუშინ აქ მსოფლიო რეკორდი დაამყარა 3000-მეტრიან დისტანციაზე — 4.08,3. ეს შედეგი 4,3 წამით სჯობს მისივე ძველ მიღწევას.

მოსკოვი, 3 მარტი. მოსკოვისა და ლენინგრადის მოცურავეთა შეჯიბრებაში მოსკოველმა ნ. პეტროვამ საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 5.12,1.

ახალი საკავშირო რეკორდით აღინიშნა მოსკოველი ს. ბელიცგეიმანის ასპარეზობა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით — 16.31,8.

ამ მაღალ შედეგებს სპორტსმენებმა საბჭოთა დედაქალაქის „დინამოს" 25-მეტრიან აუზში მიაღწიეს.

## გამარჯვება მეორე ტურშიც

მოსკოვი, 4 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საკავშირო საჭადრაკო ოლიმპიადის II ტურის შემდეგ ლიდერობს რსფსრ-ს კოლექტივი, რომელმაც I ტურში „მშრალი" ანგარიშით (12:0) დაამარცხა თურქმენეთის გუნდი, ხოლო II ტურის დაუმთავრებელ შეხვედრაში ანგარიშით 5,5:3,5 (3 პარტია გადადებულია) დაწინაურდა ლენინგრადელებთან. რუსეთის ნაკრებს 17,5 ქულა აქვს.

ჯერჯერობით II ადგილზეა საქართველოს კოლექტივი — 15,5 ქულა და 5 გადადებული პარტია. III ადგილზე არიან უკრაინის წარმომადგენლები — 15 ქულა და 4 გადადებული პარტია.

გუშინ დილით მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. I ტურის მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცა: აზერბაიჯანი — ლენინგრადი 2,5:9,5, ლიტვა — ესტონეთი 2,5:7,5 (2 გადადებული პარტია), ტაჯიკეთი — ყაზახეთი 2:7 (3), მოსკოვი — ბელორუსია 7,5:2,5 (2), უკრაინა — უზბეკეთი 7,5:2,5 (2), მოლდავეთი — ყირგიზეთი 6:6.

საღამოს გაიმართა II ტური, რომლის შედეგები ასეთია: ესტონეთი — თურქმენეთი 6,5:2,5 (3), აზერბაიჯანი — ლიტვა 4,5:2,5 (5), ყაზახეთი — მოსკოვი 3:6 (3), ლატვია — ტაჯიკეთი 7,5:0,5 (4), უზბეკეთი — მოლდავეთი 5:3 (4), სომხეთი — უკრაინა 2,5:7,5 (2).

როგორც იცით, I ტურში საქართველოს მოჭადრაკეები სომხეთის წარმომადგენლებს შეხვდნენ. გაცნობებთ შედეგებს დაფების მიხედვით: ე. გუფელდმა დაამარცხა რ. ვაგანიანი, რ. ჯინჯიხაშვილმა — კ. გრიგორიანი, ე. უბილავამ — ლ. გრიგორიანი, ბ. გურგენიძემ — ე. მნაცაკანიანი. ზ. მიქაძემ გადადო პარტია ა. აკოფიანთან. დ. გედევანიშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ა. პეტროსიანთან. ვ. ვეფხიშვილმა გადადო პარტია ა. ნავოიანთან. გ. ზაიჩიკმა მოუგო ო. ალიკიანს, ც. კობაიძემ — თ. ბოიახჩიანს. თ. ძუგაშვილმა წააგო ნ. აგაბაბიანთან, თ. კაჭარავამ მოუგო გ. ვართანიანს, ხოლო მ. წერეთელი და მ. მანგრიანი დაზავდნენ.

ამრიგად, ანგარიშია 8:2 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ, ხოლო 2 პარტია გადადებულია.

II ტურში საქართველოს გუნდი ყირგიზეთის ნაკრებს ეთამაშა. გუფელდმა და ჯინჯიხაშვილმა შესაბამისად გადადეს პარტიები ი. კრუტიხინთან და ი. ეროპოვთან. გურგენიძემ დაამარცხა გ. უსტინოვი. ს. ჩეჩელიანმა გადადო პარტია დ. მამატოვთან. მიქაძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ი. სლეპოისთან. გედევანიშვილმა გადადო პარტია ბ. გენდლერთან. ვეფხიშვილმა მოუგო ბ. სამადანოვს, ზაიჩიკმა — ი. ლევანტს, კობაიძემ — ბ. სამადანოვას. ხუგაშვილმა გადადო პარტია რ. ვენდროვასთან. კაჭარავამ და წერეთელმა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები ლ. პროცენკოსა და გ. ნიაზოვასთან. ჯერჯერობით ანგარიშია 5,5:1,5 ქართველ მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

დღეს დილით მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, ბოლო საღამოს — მორიგი, III ტური.

**თ. გიორგაძე,**
ოლიმპიადის მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

ჩვენს კორესპონდენტთან საუბრის შემდეგ მოვიდა საკდესის ცნობა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველო — ყირგიზეთის მატჩის ანგარიში გახდა 7,5:1,5 (3 პარტია კვლავ გადადებულია). გუნდების ზემომოყვანილ მდგომარეობაში ეს გარემოება გათვალისწინებულია.

## სამი საგზურისთვის

ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობენ ოსტატი დ. ჯანოევი, ოსტატობის კანდიდატები, თბილისის შარშანდელი ჩემპიონი მ ლევინი, პ. შაქარიანი, გ. მეხრიშვილი, მ. ფრიდინსკი, რ. კაპანაძე, გ. ციხელაშვილი, ს. მეგრელიშვილი, ვ. კუშჩიანი, კ. ჩიგოგიძე, შ. ჭრელაშვილი, გ. კალატოზიშვილი და პირველთანრიგოსანი გ. ბალოიანი.

პირველ სამ ადგილზე გასულნი მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის წლევანდელ ჩემპიონატში.

ბრძოლა რომ დაძაბულია, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ჯერჯერობით მხოლოდ კალატოზიშვილი არ დამარცხებულა.

6 ტურის შემდეგ ლიდერობენ კალატოზიშვილი და ციხელაშვილი — 4,5-4,5 ქულა. ჩიგოგიძეს 4 ქულა დაუგროვდა 5-დან. ამდენივე ქულა აქვს ლევინს, ოღონდ 6-დან.




● ოსლო, 3 მარტი. აქ დამთავრდა იუნიორთა არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში. ოქროს მედალი მოიპოვა სვერდლოვსკელმა ი. კონდაკოვმა, რომელმაც ოთხი დისტანციიდან სამი მოიგო და მრავალჭიდში 179,425 ქულა დააგროვა. ვერცხლი ნოვოსიბირსკელ ნ. კუზმენკოს ხვდა — 180,935. ნორვეგიული გაზეთები საბჭოთა იუნიორების გამოსვლას ხოტბას ასხამენ და აღნიშნავენ, რომ მათ იმედის სხივი შეიტანეს საბჭოთა საციგურაო სპორტის მომავალში.

● ვარშავა, 3 მარტი. მძიმე ტრავმის შემდეგ სარბიელს დაუბრუნდა ოლიმპიური ჩემპიონი ი. შევინსკა, რომელმაც პირველივე შეჯიბრებაში დაამტკიცა, რომ სწრაფად აღიდგინა საუცხოო სპორტული ფორმა: ადგილობრივ დარბაზში პოლონეთის უმაღლესი მიღწევა გაიმეორა 50 მეტრზე რბენაში — 6,3 წამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატები

# პირველი ჩოგანი

საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატს ა. მეტრეველს მოსკოვში ჩოგბურთელთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე შევხვდით. იგი ავსტრალიაში ბრწყინვალედ ჩატარებული ტურნედან დაბრუნებისთანავე ახალ შეჯიბრებაში ჩაება და, „მწვანე კონტინენტზე" მოქანცულს, ერთობ უჭირდა თამაში. ამასთან, მან აკლიმატიზაცია ვერ მოასწრო და, ბუნებრივია, ყოველივე ამან ცუდად იმოქმედა მის მოსკოვურ შედეგებზე. ჩვენ უხერხულად მოგვეჩვენა მის წარუმატებლობაზე ლაპარაკი, მაგრამ მეტრეველს არც უცდია თავი აერიდებინა ამ უსიამოვნო თემაზე საუბრისთვის.

— ვწუხვარ, რომ ყველაფერი ისე არ დამთავრდა, როგორც მსურდა. ჩანს, ნერვულმა დაძაბულობამ, დაღლილობამ, აგრეთვე, იმან, რომ ჩემგან მუდამ პირველ ადგილს ელიან, ჩემზე გარკვეული გავლენა იქონია. რას იზამ, მეც ხომ ადამიანი ვარ...

ჩვენთვის და მკითხველისთვის უკვე გასაგებია ალექსანდრე მეტრეველის, ჩვეულებრივი ადამიანისა და ნამდვილი სპორტსმენის შინაგანი მღელვარება და ამიტომ სიტყვა სხვა თემაზე გადავიტანოთ.

კორესპონდენტი: თქვენ საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატი ხართ. რას გაუზიარებდით ყრილობის მონაწილეებს, რას ეტყოდით მათ, ყრილობის ტრიბუნაზე რომ მოგიხდეთ გამოსვლა?

ა. მეტრეველი: სამწუხაროდ, ყრილობას ვერ დავესწრები — მისი მუშაობის დღეებში ეგვიპტეში მომიწევს გაფრენა: კაიროსა და ალექსანდრიის ტრადიციულ ტურნირებში უნდა ვითამაშო. სათქმელი კი ბევრი მაქვს და ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ორიოდე სიტყვა ვუთხრა თანატოლებსა და ჩემს მომდევნო თაობას. მოსკოვის საერთაშორისო ტურნირს ესწრებოდა საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი ჟილ დე-კარმადეკი, რომელმაც თბილი სიტყვები არ დაიშურა საბჭოთა ჩოგბურთზე ლაპარაკისას: „საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა ძლიერი ჯგუფი ის ელიტაა, რომელმაც უნდა ზიდოს თქვენი სპორტის დროშა. ჩემი აზრით, საერთაშორისო კლასის ოსტატთა კატეგორიას მიეკუთვნებიან ლეიუსი, ლიხაჩოვი, ვოლკოვი, ეგოროვი, კაკულია და სხვები. მაოცებს თქვენი ქალების თამაშიც. მათ კარგი ტექნიკა აქვთ და თანამედროვე სტილითაც თამაშობენ. ალბათ სწორედ ამაში გამოიხატება საბჭოთა ჩოგბურთის დინამიზმი. ოც საბჭოთა ჩოგბურთელს შეუძლია სძლიოს რომელიც გნებავთ ქვეყნის ოც წარმომადგენელს. გამონაკლისია მხოლოდ აშშ და ავსტრალია, სადაც ჩოგბურთს უფრო მყარი და ძველი ტრადიციები აქვს".

მე დე-კარმადეკზე უფრო კრიტიკულად ვუყურებ ჩვენს ჩოგბურთს. დიდი წარმატებების მოსაპოვებლად საჭიროა კორტების ფართო ქსელის შექმნა. მაგალითად, მელბურნსა და სიდნეიში 400-400 კორტი აქვთ და იქ ზამთარ-ზაფხულ თამაშობენ. ადელაიდის ეროვნულ პარკში 303 კორტია. ცხადია, კორტების სიმრავლე, ჩოგბურთელთა სიმრავლეს განაპირობებს. მათ შორის ბევრი ისეთიც იქნება, რომლებიც მსოფლიოს მოწინავე ჩოგბურთელებს ტოლს არ დაუდებდა. ჩვენში კი ამ მხრივ დიდი ხარვეზებია. ავიღოთ თბილისი. ჩვენს კორტებს თითებზე დაითვლის კაცი. ცხადია, ეს კორტები ახალბედების ძალიან მცირე რაოდენობას ემსახურება. საქართველოს კომკავშირის ყრილობის დელეგატებს ვთხოვ მხარი დამიჭირონ და გამოვიდნენ მოწოდებით საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში ახალი კორტების მშენებლობის თაობაზე. ურიგო არ იქნებოდა, დახურული საჩოგბურთო სტადიონიც გვქონოდა. მის მშენებლობაში, ჩემი აზრით, კომკავშირელებმა, ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

კორესპონდენტი: მშთ ახალი კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით რას იტყოდით?

ა. მეტრეველი: ეს პირდაპირ საშვილიშვილო საქმეა. ძველი კომპლექსი უკვე აღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს. საჭირო იყო ნორმების გართულება და ასეც მოხდა. როგორც ახალბედა ჩოგბურთელებს, ისე სხვა სახეობათა წარმომადგენლებს მშთ ახალი კომპლექსის ნორმების შესრულება ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ფიზიკურ სრულყოფაში. დასამალი არ არის: ახალბედა ჩოგბურთელები ხშირად სწორედ საერთო ფიზიკურ მომზადებაში მოიკოჭლებენ.

კორესპონდენტი: თქვენ თქვით, რომ კაიროსა და ალექსანდრიის ტურნირებში მოგიხდებათ თამაში. კიდევ სად გიწევთ გამოსვლა?

ა. მეტრეველი: ეგვიპტის შემდეგ განზრახულია საბჭოთა ჩოგბურთელების ასპარეზობა საფრანგეთის სანაპიროზე რამდენიმე ტურნირში. ვარაუდობენ, რომ დევისის თასის გათამაშების პროგრამით უნგრეთის ნაკრებს თბილისში შევხვდებით.

* * *

მეტრეველთან საუბრის შემდეგ ველაპარაკეთ მის მწვრთნელს ს. ანდრეევს და მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის მონაწილე ბ. ტაროცის (უნგრეთი).

კორესპონდენტი: თქვენ მეტრეველს ახლდით ავსტრალიაში. რას გვეტყოდით ამ ტურნეზე?

ს. ანდრეევი: საბჭოთა ჩოგბურთელების ავსტრალიურ ტურნეზე პრესაში ბევრი დაიწერა. მოგაგონებთ, რომ მეტრეველმა 6 ტურნირიდან 5 მოიგო. მაგალითად, დასავლეთ ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, რომელიც პერტში მოეწყო, 40-გრადუსიან სიცხეში ჩატარდა და იქ თამაში მართლაც ჯოჯოხეთი იყო. მეტრეველმა ვაჟკაცურად გადაიტანა ყველა სიძნელე და შესანიშნავი გამარჯვებაც მოიპოვა. სიდნეიში გათამაშდა ახალი სამხრეთ უელსის ღია ჩემპიონატი. ამ ტურნირის 80-წლიანი ისტორიის მანძილზე მისი პირველი ლაურეატი საბჭოთა ჩოგბურთელი გახდა. ზემოაღნიშნულ ტურნირს „ავსტრალიურ საჩოგბურთო ცირკუსს" უწოდებენ და 25 წლის მანძილზე მეტრეველისთანა წარმატება აქ არავის მოუპოვებია.

კორესპონდენტი: თქვენი მოსკოვური შეხვედრა მეტრეველთან ერთობ დაძაბულად წარიმართა. შეგეძლოთ მოგება?

ბ. ტაროცი: ჩემთვის ჯერჯერობით ეს შეუძლებელია: მეტრეველი იყო და რჩება მეტრეველად — ბრწყინვალე ტალანტად. ასეთ დიდებულ ჩოგბურთელთან თამაში ერთ რამედ ღირს! თავდაპირველად უშეღავათო ბრძოლა გამოვუცხადე, მაგრამ თანდათან დავიღალე და წავაგე კიდეც.

* * *

ჩვენი სანაქებო ჩოგბურთელი, თბილისელი დინამოელი მეტრეველი, საქართველოს კომკავშირელთა დიდი ფორუმის დელეგატი ისევ სხვადასხვა ქვეყნის კორტების სასურველი სტუმარია. იგი კვლავ საბჭოთა სპორტსმენების მწყობრის წინა რიგებშია და, ბუნებრივია, მისი ქომაგებიც მისგან ახალ გამარჯვებებს ელიან.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მოსკოვი—თბილისი.

* * *

სურათზე: „მწვანე კონტინენტის" სხვადასხვა ღია ჩემპიონატში გამარჯვებულები — უიმბლდონის ჩემპიონი ელონა გულაგონგი (ავსტრალია) და თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი პრიზებით ხელში.



### სსრ კავშირის ჩემპიონატი




## 84:77

ვილნიუსი, 4 მარტი. გუშინ აქ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი, რომელიც კალენდრით ხვალ უნდა ჩატარებულიყო. ადგილობრივმა „სტატიბამ" სსრ კავშირის ჩემპიონს — ცსკა-ს უმასპინძლა.

მასპინძელთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ცსკა მტკიცედ ფლობდა თამაშის სადავეებს და გაიმარჯვა კიდეც — 84:77.

### გუშინ

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: თბილისის „დინამო" კიევის „სტროიტელს" შეხვდა. ბრძოლა წარმოუდგენლად მძაფრი და საინტერესო იყო: საჭირო გახდა 2 დამატებითი „ხუთწუთიანის" გამართვა. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 87:80 (41:38, 75:75, 81:81).

კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩების წინ თბილისის სპორტის სასახლეში შეკრებილნი ყურადღებით ადევნებენ თვალს ნორჩ სპორტსმენთა ასპარეზობას. მინი-კალათბურთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჩვენში. იგი, ჯერ ერთი, სპორტის ამ შესანიშნავი სახეობის პროპაგანდის კარგი საშუალებაა და, მეორეც, ხელს უწყობს მოზარდთა ადრეულ სპეციალიზაციას. პატარები გატაცებით თამაშობენ კალათბურთს და საშეჯიბრებო პირობებს ეჩვევიან.



მინი-კალათბურთელთა ასპარეზობაში, რომელიც სპორტის სასახლეში ჯერ არ დამთავრებულა, მონაწილეობს 1960-61 წლებში დაბადებულთა ოთხი გუნდი. ორი მათგანი ეკუთვნის „დინამოს" (მწვრთნელები გ. ავალიშვილი და ტ. ჩერმაკიანი), ორიც — განათლების განყოფილებას (მწვრთნელები ვ. ჰკუასელი და გ. ჩუბინიშვილი). ჯერჯერობით წინ არიან ვ. ჰკუასელის აღსაზრდელები.

ა. დეისაძე.

სურათზე: „დინამოს" და განათლების განყოფილების ნორჩ კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ფიბა 40 წლისაა

19 ივნისს კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციას (ფიბა) 40 წელი უსრულდება. ამ ღირსსახსოვარი თარიღის აღსანიშნავად გადაწყდა მოეწყოს ოთხი ამხანაგური შეხვედრა ძველი სამყაროს ნაკრებსა და ოლიმპიურ ჩემპიონს — აშშ-ს ეროვნულ გუნდს შორის.

შეხვედრები ჩატარდება: 17 ივნისს ზაგრებში (იუგოსლავია), 19 ივნისს ჟენევაში (შვეიცარია), 21 ივნისს მადრიდში (ესპანეთი) და 23 ივნისს ტუკაში (საფრანგეთი, პარიზის გარეუბანი).

ძველი სამყაროს ნაკრებ კოლექტივში მიწვეული იქნება 18 კალათბურთელი. სსრ კავშირს დაეთმო 5 ადგილი. 3 ადგილი მიიღო მსოფლიო ჩემპიონმა — იუგოსლავიამ, 2-2 — იტალიამ, პოლონეთმა, ბულგარეთმა და თითო — ჩეხოსლოვაკიამ, საფრანგეთმა, ესპანეთმა და დასავლეთ გერმანიამ.

ევროპის ნაკრების შემადგენლობა ამ საინტერესო შეხვედრებისთვის ასეთი იქნება: მ. პაულაუსკასი, ა. ბელოვი, ი. ედეშკო, ა. ჟარმუხამედოვი, ს. ბელოვი (სსრ კავშირი), კ. ჩოსიჩი, ნ. პლეჩაში, ლ. სიმონოვიჩი (იუგოსლავია), დ. ელინი, დ. მენეგინი (იტალია), ი. დოლუევსკი, ე. იურკევიჩი (პოლონეთი), ა. გოლომეევი, გ. ხრისტოვი (ბულგარეთი), ი. ზედნიჩეკი (ჩეხოსლოვაკია), ა. ჟილი (საფრანგეთი), კ. ლუიკი (ესპანეთი), ნ. ტიმი (გფრ).

ნაკრების ხელმძღვანელად დანიშნულია ბ. სტანკოვიჩი (იუგოსლავია), მწვრთნელად — ვ. ზაგურსკი (პოლონეთი).

## კალათბურთის ნამდვილი სიყვარული

პრესაში ხშირადაა საუბარი კალათბურთის ავ-კარგზე, მის აწმყოსა და მომავალზე. სპეციალისტებს, სპორტის მუშაკებსა და, უბრალოდ, გულშემატკივრებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ წარმატება კალათბურთში მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული მის სწორ, გეგმიან და გონივრულ პროპაგანდასთან. საქართველოში უყვართ კალათბურთი, მაგრამ ბევრი ორგანიზაცია არ ზრუნავს მისი პოპულარიზაციისთვის. სიყვარული სიყვარულად რჩება და გუნდების, სექციებში გაერთიანებულ მომეცადინეთა რიცხვი არ იზრდება.

კალათბურთის ნამდვილი სიყვარული იგრძნობა სპორტკლუბ „სინათლეში" (თავმჯდომარე მ. ჩიკვაიძე, მოადგილე ა. მირზოევი). იგრძნობა იმიტომ, რომ აქ დიდი ხანია სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ და მეცადინეობის ნაყოფსაც ხალისით იმკიან. ბოლო წლებში „სინათლის" გუნდი, რომელსაც ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ვეტერანი, სპორტის ოსტატი ა. ვაჩაძე ავარჯიშებს, მაღალ და სტაბილურ შედეგებს აღწევს რესპუბლიკურ თუ საქალაქო ტურნირებში. ეს გუნდი უკვე სამჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, ორჯერ — ქალაქის პირველობაში გამარჯვებული, ერთხელ მან კონსტიტუციის თასი მოიპოვა და III საპრიზო ადგილი დაიკავა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში.

მწვრთნელმა ა. ვაჩაძემ ვეტერანთაგან და ახალგაზრდა კალათბურთელთაგან შექმნა მეგობრული, მონოლითური კოლექტივი, რომლის ყველა წევრი ერთნაირად ინაწილებს სიხარულსა და სინანულს. ვეტერანებს — სპორტის ოსტატებს რ. გოგელიასა და ა. კაზანჯიანს მხარდამხარ მიჰყვებიან ახალგაზრდები: ლ. მუშტარაული, ზ. ლეონტიევი, ე. ვასილიევი. „სინათლეს" გარკვეული წვლილი შეაქვს ქართული კალათბურთის განვითარებაში. ამ ცოტა ხნის წინ თბილისის „დინამოს" დუბლიორებს მან ორი პერსპექტიული მოთამაშე გადასცა. მოდით და ამის შემდეგ ნუ იტყვით, გუნდი ამართლებს თავის არსებობასო!

ამას წინათ „სინათლის" კალათბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს ზამთრის რესპუბლიკური პირველობის (ჩატარდება 27-31 მარტს თბილისში) თბილისის შესარჩევ ტურნირში და კვლავ ისახელეს თავი: უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, „მეტრომშენის", სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სხვა წამყვან კლუბებთან ბრძოლაში დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი.

ქალთა შორის ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა უნივერსიტეტის კოლექტივმა: ისიც I ადგილზე გავიდა.

ნ. ფცქიალაძე.

## ნახევარფინალები

გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა ნახევარფინალური მატჩები.

ვარესე. ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ინისი" და ათენის „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი). ეს იყო პირველი ნახევარფინალური მატჩი, რომელშიც გაიმარჯვეს იტალიელებმა — 69:55 (41:30). ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ: „ინისში" — რაგა (24), „პანათინაიკოსში" — იორდანიდისი (18).

ბადალონა. თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ესპანეთის „იუვენტუდმა" დაამარცხა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა" — 83:70 (35:31).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული მარტი

გაზაფხულის პირველი თვე ბევრ საინტერესო ასპარეზობას გვპირდება. გთავაზობთ მათგან უმთავრესს.

### აფროსნობა

20-28. სსრ კავშირის თასი (სოჭი).

31. III-9. IV. საერთაშორისო შეჯიბრება (საფრანგეთი).

### ბადმინტონი

16-19. სსრ კავშირის ჩემპიონატი (გორკი).

### ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა

24. საკავშირო შეჯიბრება (კრასნოდარსკი).

### ბიატლონი

6-9. სსრ კავშირის მოზრდილთა და იუნიორთა ჩემპიონატი (კიროვო-ჩეპეცკი).

26-28. სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობა (კიროვო-ჩეპეცკი).

### ბურთიანი ჰოკეი

21-31. სსრ კავშირის იუნიორთა პირველობის ფინალი (მონჩეგორსკი).

### ველოსპორტი

16. III-4. IV. საერთაშორისო შეჯიბრება გზატკეცილზე — „ალჟირის ტური" (ალჟირი).

### თავისუფალი ჭიდაობა

15-25. აშშ-სა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩები (აშშ).

### თანამედროვე ხუთჭიდი

27-31. საერთაშორისო შეჯიბრება (საფრანგეთი).

### კალათბურთი

9. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ქალთა გუნდები: „ჯესი" (სენტ-სან-ჯოვანი) — „ტტტ" (რიგა). იტალია.

9. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. ქალთა გუნდები: „ქერბი" (მონსო-ლე-მინი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი). საფრანგეთი.

24-29. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრების ფინალი (ტაშკენტი, ალმა-ათა).

30. III-9. IV. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი. „ა" კლასის I ჯგუფი, მესამე წრე (ვილნიუსი, კაუნასი).

### კლასიკური ჭიდაობა

5. საერთაშორისო შეჯიბრება — ი. პოდდუბნის მემორიალი (მინსკი).

### მაგიდის ჩოგბურთი

21. ევროპული ლიგის პირველობა (მოსკოვი).

23-26. საერთაშორისო შეჯიბრება (მოსკოვი).

### მძლეოსნობა

5. სსრ კავშირისა და საფრანგეთის იუნიორთა ნაკრები გუნდების მატჩი (დონეცკი).

11-12. ევროპის ჩემპიონატი დარბაზში (საფრანგეთი).

12. სსრ კავშირის ჩემპიონატი კროსში და საკავშირო შეჯიბრება 30 კმ-ზე რბენაში (ტაშკენტი).

13-19. აშშ-სა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი დარბაზში (აშშ).

18. საერთაშორისო შეჯიბრება ვაჟთა შორის კროსში — „ეროვნებათა პრიზი" (დიდი ბრიტანეთი).

### საბუერო სპორტი

26. III-3. IV. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ტალინი).

### სათხილამურო სპორტი

9. სსრ კავშირის ჩემპიონატი საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში (კიროვსკი).

9-12. საერთაშორისო შეჯიბრება — „ტატრების თასი" (ჩეხოსლოვაკია).

11-13. სსრ კავშირის იუნიორთა პირველობა ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში (ნიჟნი ტაგილი, სვერდლოვსკი).

11-14. სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა პირველობა (პერვოურალსკი).

11-14 და 20-21. საერთაშორისო შეჯიბრება რბოლებში, ხტომასა და ორჭიდში (ფინეთი).

15-19. საერთაშორისო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში — „მეგობრობის თასი" (პოლონეთი).

18-19. სსრ კავშირის ჩემპიონატი ორჭიდში (ლენინგრადი).

23-26. საერთაშორისო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში (ფინეთი).

24-26. მსოფლიო ჩემპიონატი ტრამპლინიდან ხტომაში (იუგოსლავია).

25-26. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება რბოლებში (არხანგელსკი).

25-26. სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობა ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში (ნიჟნი ტაგილი).

25-28. რბოლები — „ჩრდილოეთის ზეიმი" (მურმანსკი).

25-31. სსრ კავშირის ჩემპიონატი რბოლებში (მურმანსკი).

### სამბო

31. III.-2. IV. საერთაშორისო შეჯიბრება (მონღოლეთი).

### სამთოსათხილამურო სპორტი

11-16. სსრ კავშირის ვაჟთა (ტერსკოლი) და ქალთა (სლავსკოე) ჩემპიონატები.

25-31. სსრ კავშირის პირველობა უფროსი ასაკის (კიროვსკი) და საშუალო ასაკის (ბაკურიანი) გოგონათა და ჭაბუკთა შორის.

### სამოტოციკლო სპორტი

25. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ყინულზე რბოლაში (შვეცია).

### საციგაო სპორტი

7-13. მსოფლიო ჩემპიონატი (კანადა).

10-12. საკავშირო შეჯიბრება (ბრატსკი).

### საციგურაო სპორტი

5. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი (ჰოლანდია).

11-12. საერთაშორისო შეჯიბრება ს. კიროვის პრიზზე (კიროვი).

11-15. სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა პირველობა (კოლომნა).

18-19. მრავალჭიდსა და ცალკეულ დისტანციებზე ვაჟთა (კოლომნა) და ქალთა (სვერდლოვსკი) საკავშირო ჩემპიონატები.

21-22. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება (სვერდლოვსკი).

### ტანვარჯიში

5-7. საერთაშორისო შეჯიბრება და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა (რიგა).

11-12. იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდების მატჩი (იუგოსლავია).

30. III-5. IV. სსრ კავშირის ჩემპიონატი ნრავალჭიდში (კიევი).

### ფარიკაობა

10-12. რაპირისტ ვაჟთა ევროპული თასი (საფრანგეთი).

10-12. ქალთა ევროპული თასი (იტალია).

23-27. საკავშირო შეჯიბრება. პირველი ტური (ლვოვი).

30. III-3.IV. იუნიორთა მსოფლიო პირველობა (ესპანეთი).

### ფიგურული ციგურაობა

7-11. მსოფლიო ჩემპიონატი (კანადა).

25-30. სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა თასი (ელექტროსტალი).

30. III-2. IV. საერთაშორისო შეჯიბრება (რუმინეთი).

### ფრენბურთი

7-13. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი. „ა" კლასის I ჯგუფი, მეორე წრე, II ტური (ვოროშილოვგრადი).

9-11. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალი. ქალთა გუნდები (ბელგია).

18-26. სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი. „ა" კლასის I ჯგუფი, მესამე წრე (ჩელიაბინსკი).

24. III-1. IV. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება (გორკი, ჟდანოვი).

### ჩოგბურთი

5-20. საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობის თასი" (კუბა).

24. III-4. IV. გოგონათა და ჭაბუკთა ზამთრის საკავშირო შეჯიბრება (თბილისი).

### ცურვა

26-30. საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე ქალიშვილთა, ჭაბუკთა, გოგონათა, ბიჭებსა (მოსკოვი) და მოზრდილთა (ლენინგრადი) შორის.

### ძალოსნობა

11, 12 და 19. საერთაშორისო შეჯიბრება (შვეცია).

11, 15 და 19. საერთაშორისო შეჯიბრება (ფინეთი).

### ძიუდო

5. საერთაშორისო შეჯიბრება (გდრ).

11-12. ევროპის იუნიორთა და ჭაბუკთა პირველობა (ლენინგრადი).

18-19. საკავშირო ტურნირი (მოსკოვი).

### წყალბურთი

25-26. საერთაშორისო შეჯიბრება (ჩეხოსლოვაკია).

30. III-3. IV. სსრ კავშირის ჩემპიონატი. „ა" კლასი I ჯგუფი, I წრე I ტური (ვოლგოგრადი, თბილისი).

### წყალში ხტომა

5. ევროპის თასი ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში (ნორვეგია).

6-9. საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე (მინსკი).

19-20. საერთაშორისო შეჯიბრება (მინსკი).

### ჭადრაკი

5-15. საკავშირო ოლიმპიადა (მოსკოვი).

20. III-7. IV. საერთაშორისო ტურნირი (იუგოსლავია).

### ხელბურთი

9-12. გფრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (გფრ).

15-25. XX ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირი (ესპანეთი).

22-26. სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი. „ა" კლასის I ჯგუფი, პირველი წრე, II ტური (მოსკოვი).

### ჰოკეი

21. III-2. IV. სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობა (გორკი).

26. III-3. IV. ევროპის იუნიორთა პირველობა (შვეცია).




## „შახტიორი" ბრძოლას გამოეთიშა

**დონეცკი, 8 მარტი.** სსრ კავშირის თასის გათამაშების განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა ადგილობრივი „შახტიორისა" და მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა შორის დამთავრდა ფრედ — 0:0. დინამოელებს პირველი მატჩი მოგებული ჰქონდათ (3:1), ამიტომ ისინი მერვედფინალში გავიდნენ.

## გადავიდნენ...

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ დაამტკიცეს სპორტტექნიკური კომისიის გადაწყვეტილება „ა" კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდიდან გუნდში გადასვლის თაობაზე.

ბაქოს „ნევთჩის" მოთამაშე ვ. შევჩენკო გადავიდა კიევის „დინამოში", ვ. ივანოვი მოსკოვის „სპარტაკიდან" — დნეპროპეტროვსკის „დნეპრში", ი. გრიგორიევი მოსკოვის „სპარტაკიდან"—მინსკის „დინამოში", ვ. რეხვიაშვილი თბილისის „დინამოდან" — ქუთაისის „ტორპედოში" და ჯ. სილაგაძე მოსკოვის „სპარტაკიდან"—ქუთაისის „ტორპედოში".

## მინდორზე გამოვლენ მოზარდები

საქართველოს ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე დღეს სტარტს აიღებს მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელიც მოსამზადებელი ჯგუფებისა და სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო გათამაშების წინასწარ ეტაპსაც წარმოადგენს.

წლევანდელ რესპუბლიკურ გათამაშებაში დაშვებულია 17 გუნდი, რომლებიც ერთმანეთში ერთ წრედ ითამაშებენ. პირველ სამ ადგილზე გასული კოლექტივები უფლებას მიიღებენ გამოვიდნენ საკავშირო სარბიელზე — ნახევარფინალურ და ფინალურ ტურნირებში.

მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება 1957 წლიდან ტარდება. მაშინ საპატიო პრიზი პირველად მოიპოვეს თბილისის ნორჩმა დინამოელებმა, რომლებმაც მიიღეს ჩემპიონთა ოქროს მცირე მედლები. მას შემდეგ ჩვენი ჭაბუკების გუნდები არაერთხელ ყოფილან ამ გათამაშების პრიზიორები. 1966 წელს თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებმა გაიმეორეს თანამემამულეთა უმაღლესი მიღწევა. გავიდა კიდევ 3 წელი და დინამოელებმა ეს საპატიო პრიზი ხელმეორედ ჩამოიტანეს თბილისში.

შარშან ანალოგიურ რესპუბლიკურ გათამაშებაში 16 გუნდი მონაწილეობდა. გათამაშება ჩატარდა საინტერესოდ, დაძაბულად, მაგრამ საკავშირო ტურნირის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა მხოლოდ რუსთავის „მეტალურგმა", რომელმაც VI ადგილი დაიკავა. რუსთაველთათვის ეს კარგი მაჩვენებელია, მაგრამ საქართველოს ნორჩ ფეხბურთელებს საკავშირო ასპარეზზე უფრო მაღალი ადგილი შეეფერებათ.

წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ 1954-56 წლებში დაბადებული ჭაბუკი ფეხბურთელები. ნახევარფინალური საკავშირო შეჯიბრება ჩატარდება აგვისტოს დამლევს, ხოლო ფინალი — ნოემბრის დამდეგს.

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი ფეხბურთელებისგან მაღალკვალიფიციურ, შინაარსიან თამაშს ველით.

**ნ. ამირეჯიბი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# მიზანი — კონტინენტის ჩემპიონატი

მაისში შვეციის ან იუგოსლავიის ერთ-ერთ ქალაქში მოეწყობა ევროპის იუნიორთა პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ამ ტურნირისთვის აქედანვე ემზადებიან საბჭოთა მოჭიდავეები: ატარებენ შეხვედრებს, ჩემპიონატებს. ერთი ასეთი ღონისძიება, რომელიც კონტინენტის პირველობისთვის სსრ კავშირის ნაკრების წევრთა შერჩევას ისახავდა მიზნად, ამას წინათ ბაშკირეთის ქალაქ სალავათში მოეწყო. პირად ტურნირში მონაწილეობდა 200-მდე იუნიორი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან. აქ იყვნენ ნაკრების ნაღდი კანდიდატები, იყვნენ ისინიც, ვინც უმოკლეს ხანში გაიკაფავს გზას დიდი სარბიელისკენ, და, რა თქმა უნდა, ახალბედებიც.

ჩვენი რესპუბლიკა შეჯიბრებაში 26 იუნიორით იყო წარმოდგენილი. ამათგან ექვსმა საპრიზო ადგილი დაიკავა. ისინი უმთავრესად „ბურევესტნიკის" წევრები არიან — ახალგაზრდა მოჭიდავეები, რომლებსაც კარგად იცნობენ რესპუბლიკაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. I ადგილები დაისაკუთრეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა დ. ყვარელაშვილმა (62 კგ) და ბ. ელოშვილმა (68 კგ). II ადგილებზე გავიდნენ ასევე პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი ი. მაღალაშვილი (52 კგ) და დინამოელი ა. ავსაჯანიშვილი (82 კგ). ბრინჯაოს მედლები მიიღეს უნივერსიტეტელმა მ. ილურიძემ (90 კგ) და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ა. ჭუაძემ (მძიმე).

ორიოდე სიტყვა გამარჯვებულებზე, რომლებსაც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. როსტიაშვილი ავარჯიშებს. ყვარელაშვილი ახალგაზრდა ოსტატია. იგი ჯერ 19 წლისაა, მაგრამ უკვე მოიხვეჭა სახელი თანაგუნდელთა შორის და სპეციალისტთა მოწონებაც დაიმსახურა. სამშენებლო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი სამჯერ იყო სსრ კავშირის იუნიორთა ჩემპიონი, ერთხელ — ვერცხლის პრიზიორი. ყველაზე დიდ წარმატებას მან 1971 წელს მიაღწია — მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ყვარელაშვილს არც წლეულს შეურცხვენია თავი. სალავათში მან დაამარცხა მთავარი მეტოქეები: ნოვოსიბირსკელი ი. ტიტოვი, კრასნოდარელი გ. ნეგუჩი, თანამემამულე ი. ლეგაშვილი, იაკუტელი ი. ზახაროვი (სხვათა შორის, ეს უკანასკნელი „ოლიმპიური იმედის" ჩემპიონია). მეხუთე წრეში ორჯონიკიძელ კ. ზანაგუევთან გამარჯვებით მან ფაქტიურად გაინაღდა I ადგილი და ბოლო შეხვედრაში ერევნელ ს. აკოფიანთან ფრეც ხელს აძლევდა. ბრძოლა ასეც დამთავრდა და თბილისელი ოსტატი თავის მთავარ მეტოქეებთან ერთად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აჲიდა (აკოფიანს წილად ხვდა II ადგილი, ტიტოვს — III).

ასევე წარმატებით განვლო მთელი ტურნირი ელოშვილმაც, რომელმაც ოთხი შეხვედრა ქულებით მოიგო (კიროვაკანელ რ. ეგშატიანთან, ორჯონიკიძელ ე. ბედეკაევთან, თბილისელ თ. ქონიაშვილთან, ლენინგრადელ ნ. ტრუნოვთან). გადამწყვეტი ბრძოლა მას ორჯონიკიძელ ტ. სოკაევთან ჰქონდა. ქართველმა იუნიორმა ღირსეულად წარმართა ეს შეხვედრა და წმინდა გამარჯვებას მიაღწია. ფინალში დამარცხებულს II ადგილი დარჩა, კიეველ ვ. პინიგინს კი III.

იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ვ. რუკავიშნიკოვმა (ლენინგრადი), ვ. იუმინმა (კასპიისკი), ვ. როდიონოვმა (ლენინგრადი), დ. ყვარელაშვილმა, ბ. ელოშვილმა (ორივე — თბილისი), ა. პოლიაკოვმა (ლენინგორსკი), რ. ინგილდეევმა (მოსკოვი), ს. ხასიმიკოვმა (გროზნო), ნ. ნოვიკოვმა (ლენინგრადი), ს. ანდიევმა (ორჯონიკიძე).

**ნ. ახვლედიანი.**

• • •



სურათზე: იუნიორთა საკავშირო პირველობაში გამარჯვებულნი და მათი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. როსტიაშვილი. მარცხნივ — დ. ყვარელაშვილი, მარჯვნივ — ბ. ელოშვილი.

თ. ბალიაშვილის ფოტო.

## [illegible]

**ადიგენი**

აქ ორ დღეს გაგრძელდა მოსწავლეთა რაიონული პირველობა ფრენბურთში. გოგონათა შორის I ადგილი დაიკავა აბასთუმნის საშუალო სკოლის გუნდმა. II და III ადგილებზე გავიდნენ ადიგენისა და სოფელ უდის საშუალო სკოლების მოსწავლეები. ჭაბუკებში ადგილები ასე განაწილდა: 1. აბასთუმანი, 2. ვარხანი, 3. ადიგენი.

**ნ. მამულაშვილი,**
სპორტსკოლის დირექტორი.

# მეკარედ არ დავბადებულვარ

ყველას ახსოვს გორდონ ბენქსის შესანიშნავი თამაში, როცა მან პელეს მიერ თავით დარტყმული ბურთი მოიგერია მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში (იხ. სურათი).

ფეხბურთის ისტორიას ბევრი შესანიშნავი მეკარე ახსოვს. მეკარის კარგი თამაში მარტო ის კი არ არის, რომ კარი დაიცვას, არამედ დაიცვას ლამაზად, მაყურებლისთვის საინტერესოდ. მისი როლი ერთობ დიდია ფეხბურთში, ამიტომ მეკარე მუდამ ძალიან პოპულარული ფიგურა გახლავთ.

გ. ბენქსი 1939 წელსაა დაბადებული. სახით ცნობილ ამერიკელ კინომსახიობს ენტონი კუინს წააგავს. მხარბეჭიანი და იმპოზანტურია. თუ შეიძლება ითქვას, კარგად გრძნობს ბურთს, კარგად მოძრაობს კარში, დროულად ულებს ალღოს სიტუაციას. ეს თვისებები უკვე დიდი ხანია სტაბილურია. სპეციალურად ჟურნალ „სპორტისთვის" (საფრანგეთი) მიცემულ ინტერვიუში „სტოკ სიტისა" და ინგლისის ნაკრების მოთამაშე გ. ბენქსი უბრალოდ და თავისუფლად ლაპარაკობს ფეხბურთის ბოლო მსოფლიო ჩემპიონატისა და მეკარის რთული ხელობის შესახებ.

ერთმა გოლმა მთლიანად გაანადგურა ინგლისის ნაკრების ყველა შანსი მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებისა. ჩემი აზრით, ეს არ იყო ის ერთი გოლი, რომლითაც გერმანელებმა გაგვისწრეს (3:2) ლეონის მეოთხედფინალურ მატჩში. გადამწყვეტი გოლი, რომელმაც ცხადყო ჩვენი კრახი, იყო ჟაირზინიოს მიერ ჩვენს კარში გატანილი ბურთი ბრაზილიის ნაკრებთან პირველი შეხვედრის დროს (0:1). ეს დამარცხება გვადალახარაში, „ჟალისკოს" სტადიონზე, ნიშნავდა იმას, რომ თავის ქვეჯგუფში გამარჯვებული ბრაზილიის ნაკრები, ფიფა-ს მიერ დადგენილი წესების მიხედვით, გვადალახარაშივე დარჩებოდა მეოთხედფინალური მატჩების ჩასატარებლად. ჩვენ კი ლეონს უნდა გავმგზავრებულიყავით გერმანელებთან შესახვედრად.

ის, ვისაც არ გამოუცდია საშინელი სიცხე, სიმაღლე და ასეთ პირობებში მოგზაურობის უსიამოვნება, ალბათ ვერ გაიგებს, რომ ჩვენი გამგზავრება ლეონში საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენდა. თუ კილომეტრების ან მილების მიხედვით ვიმსჯელებთ, ლეონი არც ისე შორსაა გვადალახარასგან. მიუხედავად ამისა, ხუთ საათს მოგვიხდა ცდა გამგზავრების წინ, რათა ჩვენი სპეციალური ავტობუსით წავსულიყავით. ეს ხუთი საათი მართლაც სატანჯველი იყო. ან სად იქნებოდა სასიამოვნო ხუთ საათს ცდა, მით უმეტეს, რომ მოგზაურობით დაღლილ-დაქანცულებს სასტუმროში დასასვენებლად დროც აღარ გვრჩებოდა.

მექსიკაში საოცარი სიცხის გამო მართლაც დავიტანჯეთ. გერმანელები კი, რომლებმაც თავიანთ ქვეჯგუფში გაიმარჯვეს, ლეონშივე დარჩნენ, სული მოითქვეს, სიგრილეში ისვენებდნენ. მათთან მატჩში, განსაკუთრებით ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში, ყველაფერმა თავი იჩინა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბრაზილიის ნაკრებთან მატჩს. დარწმუნებული ვარ, თამაშამდე ბრაზილიელები ყაბულს იქნებოდნენ, შეხვედრა ნულოვანი ანგარიშითაც რომ დამთავრებულიყო. ორივე გუნდი თანაბარ მდგომარეობაში იყო. გვადალახარის ქვეჯგუფის ფავორიტი მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოხვეჭას იმედოვნებდა. არც ერთს არ უნდოდა ამ მატჩით საქმე გაეფუჭებინა. 0:0 ორივეს აკმაყოფილებდა, ვინაიდან არც ერთს არ სურდა რომელიმე მთავარი მოთამაშე დაშავებულიყო ან გამოეყენებინა მთელი თავისი რეზერვები, რაც აუცილებლად დასჭირდებოდა მომავალი გადამწყვეტი მატჩის დროს. უდავოა, ბრაზილიასთან თამაშის დროს მეტი არაფერი შეგვეძლო. თუ ვინმე ფიქრობს, რომ გოლის გატანის მეტი შანსი გვქონდა ან ბედმა გვიმტყუნა, ძალიან ცდება. რასაკვირველია, ტაბლოზე არც ერთი გოლი რომ არ აღრიცხულიყო, ჩვენი გულშემატკივრები და მომხრეები ძალიან კმაყოფილი იქნებოდნენ — გაეხარდებოდათ, რომ შევძელით ყველაზე დიდი წინააღმდეგობის დაძლევა. მაგრამ ბრაზილიის ნაკრებმა გოლი გაიტანა და ანგარიში 1:0 გახდა.

ბრაზილიასთან წაგებამ და ლეონში ჩვენმა გამგზავრებამ ყველაფერი შეცვალა. ჩვენ რომ გვადალახარაში დავრჩენილიყავით ბრაზილიის ან პერუს ნაკრები გუნდებივით, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მოვიგებდით და შესანიშნავი შედეგებით გავიდოდით ნახევარფინალში. რასაკვირველია, რაც უნდა მომხდარიყო, ფინალში ბრაზილიის ნაკრებს მაინც შევხვდებოდით. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელებმა იტალიელებს მართლაც დამაჯერებლად მოუგეს, მე ვფიქრობ, მათ საკადრის პასუხს გავცემდით. გვადალახარაში ერთი გოლით წაგება და ბოლო ეტაპზე მოგება სულ სხვადასხვა რამაა და პირველი სრულიადაც არ გამორიცხავს მეორეს.

მოთამაშეთა უმეტესობამ ვერ აიტანა მექსიკის კლიმატური პირობები. მატჩები ხშირად შუადღისას იწყებოდა, ისეთ სიცხეში, რომელსაც უმრავლესობა შეუჩვეველი იყო. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა კლიმატურ და ფიზიკურ დაბრკოლებას, რაც უცხოელებს უშლიდა ხელს, ვფიქრობ, ინგლისელმა ბიჭებმა კიდევ ძალიან იყოჩაღეს. მე თვითონ მუცლის ტკივილის გამო გამოვედი მწყობრიდან. ისე ულონოდ ვიყავი, რომ გერმანელებთან ვერ ვითამაშე. ყველას სიცხისა ეშინოდა. ინგლისში, მაგალითად, მოთამაშეს შეუძლია შეუსვენებლივ ირბინოს, ესე იგი, მინდორზე დარჩეს 80-85 წუთს. ბუნებრივია პატარ-პატარა შესვენებები თამაშის დროს მუდამ ეწყობა. 90 წუთი პროფესიონალისთვის პრობლემა არ არის. გარდა ამისა, ხშირად დამატებით 30 წუთსაც გვიხდება თამაში. ნორმალურ პირობებში ეს ჩვენთვის არავითარ ფიზიკურ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ მექსიკაში ყველა ევროპელი ფეხბურთელი, რომელიც 15-20 წუთს აქტიურად დარბოდა მინდორზე, უკვე ძლივს იდგა ფეხზე. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ყველა მოთამაშემ უკლო ჩვეულ ტემპს: კი აღარ დარბოდნენ, დალასლასებდნენ.

ვერასგზით ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე ევროპელი მოთამაშე მექსიკაში კარგად გრძნობდა თავს. ამავე დროს, არ ვეთანხმები იმ ხალხს, ვინც ამბობს, რომ მექსიკაში ან რომელიმე სხვა ქვეყანაში განსაკუთრებული კლიმატური პირობების გამო მსოფლიო ჩემპიონატები არ უნდა ტარდებოდეს. ამ შეჯიბრებების გამართვის უფლება არ უნდა ჰქონდეთ მარტო ფეხბურთის უძველეს ქვეყნებს, როგორიცაა ინგლისი, გერმანია, იტალია ან ბრაზილია. ფეხბურთი განურჩევლად ყველას ეკუთვნის და ყოველ ქვეყანას, მიუხედავად იმისა, თუ სად მდებარეობს ტერიტორიულად, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ მსოფლიო ფეხბურთის მიღწევები უჩვენოს თავის ხალხს. ფიფა წლების მანძილზე არჩევდა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილს. ამჯერად ასპარეზობა სამხრეთ ამერიკაში მოეწყო, მომავალი ჩემპიონატი კი ევროპაში ჩატარდება. ადრე თუ გვიან მსოფლიო ჩემპიონატი მოეწყობა მაროკოში ან იაპონიაში. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ფეხბურთი ეკუთვნის ყველას და არა მარტო „ინგლისელ ბიჭებს".

უდავოა, რომ მექსიკის უჩვეულო კლიმატურმა პირობებმა ბევრი სიძნელე შეუქმნა მეკარეებსაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ უხდებოდათ მინდორზე სირბილი. 2000 მეტრ ან მეტ სიმაღლეზე ბურთი ჰაერში ტრიალებს, ვეღარ დაფრინავს ისე, როგორც შინ, თქვენს ქვეყანაში. ეს უკვე მაშინ შევნიშნე, როცა ინგლისის ნაკრებს მოსამზადებელი თამაშები ჰქონდა კოლუმბიასა და ეკვადორში. გაიშვიათებულ ატმოსფეროში ბურთი გაცილებით სწრაფად მოძრაობს. ჩვენ სწორედ ამ გარემოებას გავუწიეთ ანგარიში და დავნიშნეთ დამატებითი ვარჯიში კარში ბურთის დარტყმაზე. როგორც კი შევძელი, მივეჩვიეთ ბურთის „რეაქციებს" ჰაერში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დამშვიდებული მაინც ვერ ვთამაშობდი. სულ იმის მეშინოდა, ბურთი რაღაცას იზამს-მეთქი. სულ ბოლო წუთს მოვდიოდი გონს. ჯერ ერთი, ბურთი ისე ჩამიქროლებდა ხოლმე გვერდით, რომ განძრევას კი არა, განძრევაზე ფიქრსაც ვერ ვასწრებდი. მაგრამ ეს მხოლოდ დიდი სისწრაფის ბრალი არ იყო. მაგალითად, ვთქვათ, მოთამაშე შორიდან ურტყამს და თქვენ არც ერთი წუთით არ უშვებთ ბურთს მხედველობიდან, ის მაინც შეიძლება სრულიად მოულოდნელად კარში აღმოჩნდეს ან უცებ შეიცვალოს მიმართულება. ეს სხვა მეკარეებმაც შენიშნეს და თანაგუნდელები გააფრთხილეს, რომ ამ მოულოდნელობათა გამო შორიდან დარტყმული ბურთი უფრო მიაღწევდა მიზანს. მოთამაშეებიც ცდილობდნენ შორიდან დაერტყათ.

გადავხედოთ გასულ წლებს და გავიხსენოთ 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, როცა წარმატება ჩვენ გვხვდა. შემდეგ გავიხსენოთ იმედების გაცრუება მექსიკაში. ძალიან ადრე მივხვდი, რომ განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მაშინ გჭირდება, როდესაც ცუდად გაქვს საქმე, განსაკუთრებით ბევრი უნდა იმუშაო მაშინ, როცა ცუდ დღეში ხარ და არავითარ შემთხვევაში გული არ უნდა აიყარო.

ჩემი ყრმობიდან მოყოლებული ბევრჯერ მქონია მომენტი, როცა გულის აყრა სულ ადვილი მოსალოდნელი იყო, ჯერ კიდევ მანამ, სანამ მეკარე გავხდებოდი. მეკარე კი სრულიად შემთხვევით გავხდი. რამდენიმე მეგობართან ერთად შეფილდის პარკში ვთამაშობდი. უცებ მეკარემ თქვა, შინ მივდივარო. თამაში უნდა შეგვეწყვიტა. მაშინ მე დავდექი კარში. მანამდე კი ცენტრში ვთამაშობდი. ცენტრალური თავდამსხმელი ვიყავი და ეს როლი ძალიან მომწონდა, ვინაიდან განუწყვეტლივ მიხდებოდა თამაში, სირბილი.

ჩემდა გასაკვირად, ახალი როლი შემიყვარდა. კარი აღარ მიმიტოვებია. შემდეგ კი ყველაფერი ბუნებრივად მოხდა... მაშინ ცხრა-ათი წლის ბიჭი ვიყავი. არც მიფიქრია, რომ როდისმე პროფესიონალი გავხდებოდი, მით უმეტეს, ინგლისის ნაკრებში ვითამაშებდი, მსოფლიო ჩემპიონატში მივიღებდი მონაწილეობას და ჩემპიონიც ვიქნებოდი. ამ ასაკში იმიტომ თამაშობ, რომ გიყვარს ფეხბურთი, ძალიან გიყვარს. გულის სიღრმეში, იმდენად ღრმად, რომ თავსაც ვერ უტყდები, ალბათ ოცნებობ ცნობილი ვარსკვლავის სახელზე. მაგრამ ეს ოცნებები და ნატვრა მენშივე რჩება, ვერავის გაანდობ. ვთამაშობდი შეფილდში, სკოლის ნაკრებში. როცა ნაკრებიდან გამომაგდეს, იმდენად ავიყარე გული, რომ საერთოდ ფეხბურთის მიტოვებაც კი მინდოდა. ხშირად ხდება ასე; თითქოს საბოლოოდ გადაწყვეტ, რომ დაანებო რაიმეს თავი, მაგრამ რატომღაც მაინც გინდა კიდევ ერთხელ სცადო ბედი.

ჩემდა საბედნიეროდ, იმთავითვე ვიცოდი როგორ მევარჯიშა. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ პირველ წლებს აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა მოთამაშისთვის. არ შემიძლია ჩამოვაყალიბო კარგი შედეგების მიღწევის გზა რაღაც ერთი ფორმულით. დღეს ჩემი გამოცდილების საფუძველზე მხოლოდ ამას ვიტყვი: „უნდა ითამაშოთ და ივარჯიშოთ. იმუშავეთ და აუცილებლად მიაღწევთ მიზანს. შრომას ვერაფერი შეცვლის".

დიდად დამეხმარა და ძალიან მიშველა იმან, რომ პირველ წლებში ფეხბურთს ვთამაშობდი ბევრად ჩემზე უფროს ბიჭებთან, ისინი კი დაუნდობლად მექცეოდნენ. ჩემი აზრით, ყველაფერი უნდა გამოსცადო. უნდა ეცადო აიღო ისეთი ბურთებიც კი, რომელთა აღებაც წინასწარ შეუძლებლად მიგაჩნია. ძალიან ნელა, თანდათანობით, რეაქცია უფრო სწრაფი ხდება, რეფლექსები უფრო იხვეწება, ზუსტდება. თუნდაც არაფერი გამოგდიოდეს, თუნდაც გეგონოს, რომ თვეების მანძილზე უნაყოფოდ მუშაობ, ერთ მშვენიერ დღეს იგრძნობ, რომ უკვე რაღაც შეგიძლია. მერე ყველაფერი უფრო იოლდება. მერე რა, რომ მაგრად გირტყამენ, რომ ბურთი თითებს გწვავს. ყველა ბურთის აღება უნდა სცადო, აუცილებლად ყველა ბურთისა. მე მეკარედ არ დავბადებულვარ: ბევრს ვმუშაობდი წვრთნის დროს, ვცდილობდი რაც შეიძლება მოქნილი ვყოფილიყავი, მეზრუნა კუთხეების კარგად დაფარვისთვის, მუდამ დიდ ყურადღებას ვაქცევდი და ვითვალისწინებდი ძველი მეკარეების გამოცდილებას, მაყურებლების შენიშვნებს, იმათ შენიშვნებს, ვინც თამაშს შორიდან უყურებდა და უფრო ამჩნევდა შეცდომებს. წლების მანძილზე ვიყენებდი რჩევა-დარიგებებს.

როცა უფრო ახალგაზრდა ვიყავი, ყველა მაშინდელი კარგი მეკარის თამაშს ვადევნებდი თვალყურს, ყურადღებას ვაქცევდი, როგორ ემზადებოდნენ ისინი კუთხურის, თავისუფალი დარტყმის დროს და სხვა. განსაკუთრებით მომწონდა ორი მეკარე — გერმანელი ბერტ ტროტმანი, რომელიც „მანჩესტერ სიტიში" თამაშობდა, და ბერტ ვილიამსი „ვულვერჰემპტონ უონდერერსიდან".




## მე გამოვალ მიუნჰენში

მეკარის თამაში სრულიად განსხვავდება სხვა ფეხბურთელების თამაშისგან. მეკარისთვის აუცილებელია შემდეგი ძირითადი ბაზა: მაღალი, აგრეთვე, ნელი, მიწაზე გამოგორებული ბურთების აღება, ბურთის კონტროლირება, მისი მოგერიება, კარგი ნახტომი. თუ ამ აუცილებელ თვისებათაგან რომელიმე გაკლია, საჭიროა ძალიან ბევრი შრომა, რომ მიაღწიო მიზანს — გახდე კარგი მეკარე. რასაკვირველია, მეკარეთა უმრავლესობას არ უყვარს, როცა ნაკლზე ელაპარაკებიან, მაგრამ ნაკლის გამოსასწორებლად აუცილებელია იცოდე შენი სუსტი მხარე. პირადად მე ძალიან ბევრ რამეს უნდა ვუმადლოდე სამი კლუბის — „ჩესტერფილდის", „ლესტერ სიტის" და „სტოკ სიტის" მოთამაშეებს — თანაგუნდელებს. ჩვეულებრივი ვარჯიშის შემდეგ, ვისაც ნაშუადღევს ეცალა, ვთხოვდი მოსულიყვნენ და კიდევ ეთამაშათ ჩემთან: ეს საჭირო იყო ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ვთხოვდი და ისინიც აუცილებლად მოდიოდნენ, საათობით მავარჯიშებდნენ, შეუსვენებლივ მირტყამდნენ კარში. მე მათი დიდად მადლობელი ვარ და ალბათ ვერასოდეს გადავუხდი ამ დიდ ამაგს.

როცა ბერდები, იმდენი ვარჯიში აღარ გჭირდება. მართალი გითხრათ, მე იმდენს და ისე მკაცრად ვავარჯიშებდი თავს, რომ მეტი აღარც შეიძლება. რაც ხანი გემატება, შენს წინაშე მით უფრო მეტი სხვადასხვა პრობლემა დგება. პირველ ყოვლისა ფიზიკურ ფორმას უნდა ადევნო თვალყური. ასაკი გამოცდილებას გაძლევს. უკვე უფრო სწორად ირჩევ პოზიციებს, ზედმეტად არ მოძრაობ, ნაკლებად იღლები. იყო კარგი გოლკიპერი, ეს ნიშნავს ზუსტად აირჩიო პოზიცია და იცოდე, რა უნდა გააკეთო საჭიროების შემთხვევაში. მეკარე იღლება არა მარტო ფიზიკურად, არამედ გონებრივადაც. მატჩი შეიძლება ისევე დამღლელი იყოს მეკარისთვის, როგორც მინდორზე მოთამაშე მისი თანაგუნდელებისთვის. უნდა ეცადო ბურთის, უთუოდ ყველა ბურთის აღებას. ყოველნაირად უნდა ეცადო გააჩერო იგი, თუ საჭიროა, თავითაც.

ზუსტად არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვითამაშებ. ლევ იაშინი, მაგალითად, ორმოცი წლისაც ბრწყინავდა. მე კიდევ მაქვს დრო! ვიცი, რომ ინგლისში ძალიან ბევრი კარგი მეკარეა, ამიტომ, როგორც ყოველთვის, ბევრს ვმუშაობ. როცა ორ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებ მონაწილეობას და ერთხელ მსოფლიო ჩემპიონიც გახდები შენს გუნდთან ერთად, ცხადია, კიდევ და კიდევ გსურს ითამაშო, გინდა მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში. ვიცი, რომ რეალური კონკურენტები მეყოლება, თანაც 1974 წელი ჯერ შორსაა, მაგრამ ძალიან მინდა მსოფლიო ჩემპიონატში თამაში და, თუ სერ ალფ რამსეი მომცემს ამის საშუალებას, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვავლენ. პატივმოყვარეობაც რომ არა, ძალიან მიყვარს ჩვენი მეგობრული, კარგად შეთამაშებული გუნდი. ჩემს სურვილს პირადი, საკმაოდ მნიშვნელოვანი საფუძველიც აქვს: ჩემი ცოლი გერმანიაშია დაბადებული.

იქ ძალიან დაძაბული, რთული ბრძოლა გაჩაღდება. 1974 წელს 35 წლისა ვიქნები და, თუ სერიოზულად არ დავშავდი ან სხვა რაიმემ არ შემიშალა ხელი, ძალიან მინდა მიუნჰენის მიდამოებში გასეირნება.

ფრანგულიდან თარგმნა

**ნ. მიაურელმა.**

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


## თბილისის სპორტულ ცხოვრება

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი. 5 მარტი. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — ასკ (კიევი). დასაწყისი: სათადარიგო შემადგენლობებისა—16 ს., ძირითადი შემადგენლობებისა — 18 ს.

**ფეხბურთი.** ლენინის სახელობის სტადიონი. მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 5 მარტი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი). დასაწყისი 12 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი)— „მეტალურგი" (რუსთავი). 12 ს. „ავაზა" (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი). 14 ს. „დინამო" (თბილისი) — „დილა" (გორი). 16 ს.

## დღეს რუსთავში

49-ე კვარტალის რაიონში გაიმართება საერთაშორისო მოტოკროსი სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს უძლიერესი სპორტსმენების მონაწილეობით.

სტარტზე იხილავთ ევროპულ და მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს.

დასაწყისი 13 ს.